დ ე მ ა რ კ ი

არქიტექტურული კომპანია

www.dmark.ge

D M A R K
A R C H I
T E C T U
R A L C O
M P A N Y

მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი **C** ბლოკი
ქ. თბილისი აბლაძის ქ. **N**1
შპს „ვახუშტი ბაბრატიონის 1“

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

/პროექტის კორექტირება/

ქ. თბილისი 2024წ

შინაარსი

ა/--განმარტებითი ბარათი;

ბ/--კალენდარული გეგმა;

გ/--გრაფიკული ნაწილი: ნახაზი:

-“სამშენებლო გენგეგმა” ნახაზი მო-1;

-“სამონტაჟო სქემა” ნახაზი მო-2.

ა/ განმარტებითი ბარათი

1. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია СниП 3.01.01-85 თანახმად და “საქართველოს მთავრობის დადგენილება №255, მუხლი №№18, 20”-ის თანახმად.

2. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, აგლაძის ქ№1-ში, ს/კ 01.13.07.002.097.

საპროექტო ობიექტი არის საცხოვრებელი კორპუსი - C ბლოკები /C1, C2, C3/. ბლოკებს აქვთ საერთო მიწისქვეშა ავტოსადგომი. შენობის კონსტრუქციის ჩონჩხედი წარმოადგენს რკინაბეტონის კარკასს, რომლის ელემენტები-კოლონები, რიგელები და გადახურვები მონოლითური რკინაბეტონისაა. სახურავი ბრტყელია.

წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს დარჩენილი სამუშაოების შესრულებას და კორექტირებული პროექტის მიხედვით ორი სართულის დამატებას.

სამშენებლო ტერიტორია მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმურ ზონას.

3. საპროექტო ობიექტის სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა განისაზღვრება СниП 1.04.03-85, ანალოგი გვ 483, პ 10-ის მიხედვით T=18.00თვე. გვ 2, პ 11-ის მიხედვით T=18.00+5.00=23.00თვე. სეისმური კოეფიციენტის გათვალისწინებით T=23.00 x 1.15=27.00თვე ანუ 2.00 წელი და 3.00 თვე, სადაც 3.00 თვე---მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა. დარჩენილი და კორექტირებული სამუშაოების ხანგრძლივობა მიღებულია **24.00თვე.**

მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები უკვე შესრუებულია.

4. გრუნტის დამუშავება უკვე შესრულებულია.

5. წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს კოშკური ამწე **Potain 330B**-ის და **Comansa 45100**-ის /დაყენდება შიდა ეზოში/, კოშკური ამწე **Comansa 5010**-ის /დაყენდება ქუჩის მხრიდან/ და ბეტონის ტუმბო **Putzmeister M52-5**-ის გამოყენებას. ბეტონის ტუმბოს “დგომა” მოხდეს სამშენებლო ტერიტორიის ფარგლებში. ამწეების ერთდროული მუშაობისას დაყენდეს მარეგულირებელი მემონტაჟე.

კოშკური ამწე Comansa 5010-ის მუშაობისას უნდა მოხდეს:

-- ისრის სემობრუნების შეზღუდვა, ამწის მუშაობის საშიში ზონის ზომები /СНиП III-4-80 თანახმად/:
R1=50.00+10.00=60.00მ;
-- ამწის ურიკის შეზღუდული მოძრაობის გამო, თითოეულ სართულზე სამშენებლო მასალების ნაწილობრივი განაწილება ხელით;
-- მარეგულირებელი მემონტაჟის დაყენება.

კოშკური ამწე Potain 330B-ის მუშაობისას უნდა მოხდეს:

-- ამწის ურიკის მოძრაობის შეზღუდვა, ამწის მუშაობის საშიში ზონის ზომები /СНиП III-4-80 თანახმად/:
R2=19.00+10.00=29.00მ;
-- ამწის ურიკის შეზღუდული მოძრაობის გამო, თითოეულ სართულზე სამშენებლო მასალების ნაწილობრივი განაწილება ხელით;
-- სამუშაოების დროს ლიფტიანი საწევლის დაყენება /მუშების გადაადგილებისათვის/;
-- მარეგულირებელი მემონტაჟის დაყენება.

კოშკური ამწე Comansa 45100-ის მუშაობისას უნდა მოხდეს:

-- ისრის სემობრუნების შეზღუდვა, ამწის მუშაობის საშიში ზონის ზომები /СНиП III-4-80 თანახმად/:
R3=20.00+10.00=30.00მ;
-- ამწის ურიკის შეზღუდული მოძრაობის გამო, თითოეულ სართულზე სამშენებლო მასალების ნაწილობრივი განაწილება ხელით;
-- მარეგულირებელი მემონტაჟის დაყენება.

დარჩენილი სამუშაოების მეორე რიგი და ეტაპები:

მეორე რიგი---------ძირითადი პერიოდის სამუშაოები:

--მეოთხე ეტაპი-----ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვანი ნიშნულიდან----------**450 დღე;**
--მეხუთე ეტაპი------სახურავის და გადახურვის მოწყობა----------**120 დღე;**
--მეექვსე ეტაპი------არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა----------**300 დღე;**
--მეშვიდე ეტაპი---------ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო ქსელების მოწყობა----------**90 დღე;**
--მერვე ეტაპი---------- ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი----------**90 დღე;**
--მეცხრე ეტაპი----შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები ----------**150 დღე;**
--მეათე ეტაპი-------მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები----------**30 დღე.**

6. უსაფრთხოების ტექნიკა

სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით.

საჰიდროიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას და ზოგიერთ სხვა სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებსა და თავსაბურებს.

მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურება არ მოხდეს.

გაშიშველი სადენების გამოყენება აკრძალულია. იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილას გადატანა მისი ელექტროქსელიდან გამორთვის გარეშე.

სამონტაჟო მექანიზმის მუშაობის პერიოდში მის ქვეშ ან სიახლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ პირთა ყოფნა აკრძალულია.

7. გარემოს დაცვის ღონისძიებები

გარემოს დაცვის ღონისძიებები ქმნის პირობებს დამახასიათებელი ეკოსისტემებისა, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად.

პროექტირების დროს და შემდგომ მშენებლობაში გამოყენებული იყოს ნაკლებად ტოქსიკური სამშენებლო მასალები. წინამდებარე პროექტში აღნიშნულია მშენებლობის მოქმედების არეალი /სამშენებლო მოედანი /აუცილებლად უნდა იქნას შემოღობილი ღობით.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში იხილავს პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების ფაქტორებს გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე:

-ადამიანის ჯანმრთელობის და უსაფრთხოება;
-მცენარეთა საფარი, ბიოლოგიური ექოსისტემა;
-ატმოსფერული ჰაერის მოსალოდნელი დაბინძურების დონეები;
-ხმაურის მოსალოდნელი დონეები და მისი ზემოქმედება ადამიანის საცხოვრებელ გარემოზე.

გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე მშენებლობის სიახლოვეს იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა-განადგურება.

ბეტონის შემოტანა უნდა მოხდეს სასაქონლო წესით ---ბეტონის ტუმბოს საშუალებით.

საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულებისას ფასადებს უნდა ჩამოეფაროს ფარად, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა.

მშენებლობის დამთავრების პერიოდში შენობიდან სამშენებლო ნაგვის ჩამოყრა ღიად დაუშვებელია, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა. შენობა საჭიროა აღჭურვოს კონუსური ტიპის ნაგავგამტარით, ნაგვის ჩამოცვლა კი მოხდეს უშუალოდ ავტოთვითმცლელი ავტომანქანების ძარაში.

8. წინამდებარე განმარტებითი ბარათი იხილე ნახ მო-1, მო-2 ერთად.

SC1432---ის ტექნიკური დახასიათება

1 ტვირთამწეობა----------1400.00კგ
2 აწევის სიმაღლე----------200.00

Potain 330b---ის ტექნიკური დახასიათება

1 ისრის სიგრძე----------65.00მ
2 აწევის სიმაღლე----------60.00მ
3 მაქსიმალური ტვირთამწეობა----------10.00ტნ
4 უკანა ნაწილის ზომა----------20.50მ

Putzmeister M52-5-ის ტექნიკური დახასიათება

1 მოცულობა----------160.00მ^3/სთ
2 აწევის სიმაღლე----------50.00მ
3 შვერა----------48.10მ
4 შლანგის სიგრძე----------4.00მ
5 მანქანის სიგრძე----------13.60მ
6 დგარების შორის მანძილი----------10.20მ

კოშკური ამწე **Comansa 5LC 5010**-ს ტექნიკური დახასიათება

1 მაქსიმალური სიმაღლე----------48.20მ
2 ტვირთამწეობა:
-მაქსიმალური----------5.00ტნ
-მინიმალური----------1.00ტნ
3 ისრის შვერა----------50.00მ

კოშკური ამწე **Comansa NF 45100**-ს ტექნიკური დახასიათება

1 მაქსიმალური სიმაღლე----------46.90მ
2 ტვირთამწეობა:
-მაქსიმალური----------4.00ტნ
3 ისრის შვერა----------45.00მ

შენიშვნა: მექანიზმის მარკა შეიძლება მოხდეს ანალოგიურ მარკაზე სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად!



შენიშვნა:
1. კოშკური ამწის მუშაობისას გათვალისწინდეს შპანა ნაწილის ზომები და შემოღობილი იქნას საშიში ზონა დროებითი ფარებით.
2. ამწის პოზიცია და მარკა შერჩეულია სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად
3. ორივე ამწის ერთდროული მუშაობისას დაყენდეს მარეგულირებელი მემონტაჟე

დმარკი
არქიტექტურული კომპანია
www.dmark.ge
DMARK ARCHITECTURAL COMPANY

პროექტის დასახელება

მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი **C** ბლოკი

პროექტის მისამართი

ქ. თბილისი ალაზნის ქ. 1

დამკვეთი

შპს „ვახუშტი ბაგრატიონის 1“

სპ	სტადია პროექტი
სპ	სტადია პროექტი
სტადია თარიღი	განმარტება
გამოცემა	

დამკვეთის №	2018.001
შესრულა	გ.ბ
შეამოწმა	გ.ა
საკონტროლო უფლებები	დმარკი

ნახაზის დასახელება

საორიენტაციო სქემა მ1:500

მო-2

A3


ქ. ვაჟა-ფშაველას გამზირი
ნაგებობის ფასადის ხაზი
ნაგებობის ფასადის ხაზი
ნაგებობის ფასადის ხაზ

ბ/ კალენდარული გეგმა 18.0 თვე

| № ეტ | მშენებლობის განხორციელების პროცესის რიგები და ეტაპები | დღე | თვეები | | |